ევროპული მიდგომა ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის

მთარგმნელი: ირმა გრძელიძე

Erasmus+

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

ევროპული მიდგომა ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისათვის

ოქტომბერი 2014

დამტკიცებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) მინისტრების მიერ

მაისი 2015

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (EHEA) ერთ-ერთ გამორჩეულ ნიშანს ერთობლივი პროგრამები წარმოადგენს. ამ პროგრამების შეიქმნის მიზანს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა, ერთობლივი სწავლის და ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობების ხელშეწყობა, ასევე ხარისხიანი პროგრამების შექმნა წარმოადგენდა. ერთობლივი პროგრამები სტუდენტებს ჭეშმარიტად ევროპული სწავლის გამოცდილებას სთავაზობენ. ერთობლივი ხარისხი გულისხმობს „ერთობლივობას“ ხარისხის გაცემის პროცესშიც.

ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისადმი ამჟამინდელი ევროპული მიდგომა, ამ პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის გამარტივების მიზნით შეიქმნა, კერძოდ:

- უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში მიღებულ ინსტრუმენტებზე დამყარებული ერთობლივი პროგრამებისთვის სტანდარტების შემუშავებით, მოიხსნება ერთობლივი პროგრამების შექმნისას წარმოქმნილი მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს დამატებითი ნაციონალური კრიტერიუმების გამოყენების დროს; და

- ხელი შეუწყოს ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ინტეგრირებულ მიდგომებს, რომლებიც ჭეშმარიტად ასახავს ამ პროგრამების ერთობლივ ხასიათს.

უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე ხარისხის გარე უზრუნველყოფის მრავალფეროვანი მიდგომებით ხასიათდება, მათ შორის, აკრედიტაცია, შეფასება ან აუდიტი სასწავლო პროგრამების და/ან ინსტიტუციურ დონეზე. შესაბამის კონტექსტში არსებულ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე რეაგირების კვალდაკვალ, სხვადასხვა მიდგომები თავიანთ „საერთო მნიშვნელს“ ჰპოვებენ უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში (ESG).

ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG) გამოიყენება არამარტო ერთობლივი პროგრამების, არამედ ყველა სხვა ტიპის პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებისთვის. შესაბამისად, ევროპული მიდგომა ძირითადად ევროპული

სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე (ESG) და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის საკვალიფიკაციო ჩარჩოზეა დამყარებული. ამასთან, ევროპული მიდგომა ითვალისწინებს ერთობლივი პროგრამების განმასხვავებელ მახასიათებლებს და შესაბამისად, ზუსტად განსაზღვრავს „სტანდარტის“ მიდგომასაც. პროცედურა და კრიტერიუმი მჭიდროდაა დამყარებული JOQAR პროექტით შემუშავებულ და შემოწმებულ კრიტერიუმებსა და პროცედურებზე.

„ერთობლივი პროგრამები“ აღიქმება, როგორც ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც კოორდინირებულია და შეთავაზებულია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ქვეყნების[1] სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების მიერ, რასაც მივყავართ ორმაგ/მრავლობით ხარისხამდე[2] ან ერთობლივ ხარისხამდე[3].

ა. ხარისხის გარე უზრუნველყოფის სხვადასხვა სისტემებში დანერგვა

ევროპული მიდგომა გამოყენებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების ურთიერთთანამშრომლობის საჭიროებებიდან და ეროვნული ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე:

- თუკი ზოგიერთი **მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუცია მოითხოვს ხარისხის გარე უზრუნველყოფას პროგრამულ დონეზე** (მაგ.: პროგრამის აკრედიტაცია ან შეფასება არის სავალდებულო) მაშინ შესაბამისმა ინსტიტუციამ უნდა აარჩიოს შესაფერისი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო[4] EQAR-ის რეგისტრირებული სააგენტოების სიიდან.

  სააგენტო გამოიყენებს სტანდარტებს (ნაწილი ბ) და პროცედურას (ნაწილი გ),

---

[1] ეხება მხოლოდ ერთობლივ პროგრამებს, რომელიც შეთავაზებულია ერთობლივად ორი ან მეტი ქვეყვნის უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების მიერ და არ ეხება ერთობლივად განხორციელებული თითოეული ქვეყნის სხვადასხვა ინსტიტუციების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფას.

[2] განცალკავებული ხარისხები, რომლებსაც ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციები ანიჭებენ სტუდენტს, პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ. (თუ ორი ხარისხი მიენიჭება ორი ინსტიტუციის მიერ, მაშინ ეს არის „ორმაგი ხარისხი“).

[3] ერთობლივი პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების მიერ გაცემული და ეროვნულ დონეზე აღიარებული ერთი დოკუმენტი.

[4] ერთობლივი პროგრამების შემთხვევაში, რომლებსაც მივყავართ იმ კვალიფიკაციამდე, რომელიც მიზნად ისახავს დააკმაყოფილოს ტრენინგის დადგენილი პირობების მინიმუმი პროფესიულ სფეროში, (ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად 2005/36/EC) საჭიროა ამ ერთობლივი პროგრამების შესახებ ეცნობოს ევროკომისიას ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ. მონაწილე ინსტიტუციებმა უნდა გაითვალისწინონ აღნიშნული ინფორმაცია შემოწმების ჩამტარებელი სააგენტოს შერჩევისა და მასთან დაკავშირების შემთხვევაში.

რათა განახორციელოს სრული ერთობლივი პროგრამის შეფასება ან აკრედიტაცია. შედეგი მისაღები უნდა იყოს უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ყველა ქვეყნისთვის. ეროვნულ საკანონმდებლო ჩარჩოზე დაყრდნობით, როგორც ბუქარესტის კომუნიკეზე იქნა დამტკიცებული, ხარისხის გარე უზრუნველყოფის გადაწყვეტილებები ძალაში უნდა შევიდეს ან აღიარებული უნდა იქნას ყველა ქვეყანაში, სადაც შეთავაზებულია პროგრამა.

- თუკი ყველა **მონაწილე უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუცია** ექვემდებარება **ხარისხის გარე უზრუნველყოფას მხოლოდ ინსტიტუციურ დონეზე** და აქვს „თვით-აკრედიტაციის“ სტატუსი, მან შესაძლოა იხელმძღვანელოს ერთობლივი პროგრამებისათვის შიდა შეთანხმებისა და მონიტორინგის პროცესებისათვის ევროპული მიდგომით (ESG 1.2 & 1.9- ის მიხედვით), თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს თავისი კონტექსტის გათვალისწინებით.

  შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, პროგრამულ დონეზე დამატებითი გარე შეფასების ან აკრედიტაციის პროცედურების გამოყენება არაა საჭირო.

- ევროპული მიდგომა შესაძლოა ასევე გამოყენებული იყოს ერთობლივი პროგრამებისთვის, რომლებსაც გვთავაზობენ, როგორც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციები. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის არაწევრ მონაწილე ინსტიტუციებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია მათი ეროვნული ორგანოების მიერ სტანდარტებისა (ნაწილი ბ) და EQAR-ში რეგისტრირებული სააგენტოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღიარების შესახებ, ასეთების არსებობის შემთხვევაში.

ბ. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნელყოფის სტანდარტები

1. დაშვება

1.1 სტატუსი

ინსტიტუციები, რომლებიც ახორციელებენ ერთობლივ პროგრამებს, აღიარებული უნდა იყვნენ როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები თავიანთი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ. შესაბამისი ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო საშუალებას უნდა აძლევდეს მათ მონაწილეობა მიიღონ ერთობლივი პროგრამის განხორციელებაში და მიანიჭონ შესაბამისი ხარისხი. ხარისხის მიმნიჭებელმა ინსტიტუციებმა უნდა უზრუნველყონ რომ ხარისხ(ებ)ი მიეკუთვნება

უმაღლესი განათლების ხარისხის სისტემას იმ ქვეყნებში, სადაც ისინი ხორციელდება.

1.2 ერთობლივი პროგრამის შექმნა და განხორციელება

ერთობლივი პროგრამა უნდა განხორციელდეს ერთობლივად, ყველა მონაწილე ინსტუტუციის ჩართვით პროგრამის შექმნასა და განხორციელების პროცესში.

1.3 ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება

ერთობლივი პროგრამის ვადები და პირობები გაწერილი უნდა იყოს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებაში. ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- პროგრამაში მისანიჭებელი ხარისხ(ებ)ის დენომინაცია;
- პარტნიორების კოორდინირება და პასუხისმგებლობები მართვაში და ფინანსური უზრუნველყოფა (დაფინანსება, ხარჯების განაწილება, შემოსავალი და სხვ.);
- სტუდენტების მიღებისა და შერჩევის პროცედურები;
- სტუდენტებისა და მასწავლებლების მობილობა;
- საგამოცდო რეგულაციები, სტუდენტთა შეფასების მეთოდები, კრედიტების აღიარება და კონსორციუმში ხარისიხს მინიჭების პროცედურები.

2. სწავლის შედეგები

2.1 დონე [ESG 1.2]

მოსალოდნელი სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს, როგორც უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის (FQ-EHEA) საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამის დონეს, ასევე ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩო(ებ)ს.

2.2 დარგობრივი სფეროები

მოსალოდნელი სწავლის შედეგები შესაბამის დარგობრივ სფერო(ებ)ში უნდა ითვალისწინებდეს ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს.

2.3 მიღწევა [ESG 1.2]

პროგრამამ უნდა შეძლოს იმის ჩვენება, რომ მოსალოდნელი სწავლის შედეგები მიღწევადია.

2.4 რეგულირებადი პროფესიები

ევროკავშირის დირექტივით 2005/36/EC ტრენინგის დადგენილი პირობების მინიმუმი ან ამ დირექტივის გათვალისწინებით დამტკიცებული ტრენინგების ჩარჩო მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, თუკი ის ერთობლივი პროგრამისთვის რელევანტურია.

3. საგანმანათლებლო პროგრამა [ESG 1.2]

3.1 კურიკულუმი

კურიკულუმის სტრუქტურა და შინაარსი ისე უნდა იყოს აგებული, რომ სტუდენტებმა შეძლონ მოსალოდნელ სწავლის შედეგებზე გასვლა.

3.2 კრედიტები

კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS) სწორად უნდა იქნას გამოყენებული და კრედიტების განაწილენა უნდა იყოს გამჭვირვალე.

3.3 დატვირთვა

ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა, ჩვეულებრივ, ჯამში სტუდენტის დატვირთვის 180-240 ECTS კრედიტს მოიცავს. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა კი, ჩვეულებრივ 90-120 ECTS კრედიტს უტოლდება და მისი მოცულობა არ უნდა იყოს 60 ECTS კრედიტზე ნაკლები (კრედიტები ვარირებს FQ-EHEA-ის მიხედვით); ერთობლივი სადოქტორო პროგრამებისთვის კრედიტებით დაანგარიშება ზუსტად არ არის დადგენილი.

დატვირთვა და პროგრამის დასრულებისთვის განკუთვნილი საშუალო დრო უნდა გაკონტროლდეს.

4. მიღება და აღიარება [ESG 1.4]

4.1. მიღება

მიღების მოთხოვნები და შერჩევის პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის

დონესა და დარგს.

4.2. აღიარება

კვალიფიკაციების აღიარება და სწავლის პერიოდი (მათ შორის წინა საფეხურის აღიარება) უნდა გახორციელდეს ლისაბონის აღიარების კონვენციისა და მასზე თანმდევი დოკუმენტების შესაბამისად.

5. სწავლა, სწავლება და შეფასება [ESG 1.3]

5.1 სწავლა/სწავლება

პროგრამა უნდა პასუხობდეს მოსალოდნელ სწავლის შედეგებს და გამოყენებული სწვალა/სწავლების მიდგომები უნდა იყოს შესაფერისი მოსალოდნელი სწავლის შედგების მისაღწევად. სტუდენტების მრავალფეროვნება და მათი საჭიროებები გათვალიწინებული და დაცული უნდა იყოს. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს პოტენციურად განსხვავებული კულტურული ფონის მქონე სტუდენტებს.

5.2 სტუდენტთა შეფასება

საგამოცდო რეგულაციები და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასება კავშირში უნდა იყოს მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან. ეს რეგულაციები თანმიმდევრულად უნდა იყოს გამოყენებული პარტნიორი ინსტიტუციების მიერ.

6. სტუდენტთა მხარდაჭერა [ESG 1.6]

სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები უნდა იყოს მხარდამჭერი მექანიზმი სტუდენტთა მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევისათვის. სერვისები უნდა ითვალისწინებდეს იმ გამოწვევებს, რომლებსაც აწყდებიან მობილობით ჩარიცხული სტუდენტები.

7. რესურსები [ESG 1.5 & 1.6]

7.1 დასაქმებული პერსონალი

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის, დასაქმებული პერსონალი უნდა იყოს კვალიფიციური და სათანადო (კვალიფიკაციები, პროფესიული და საერთაშორისო გამოცდილება).

7.2 მატერიალური რესურსი

მოსალოდნელი სწავლის შედეგის მისაღწევად შეთავაზებული მატერიალური რესურსები უნდა იყოს საკმარისი და ადეკვატური.

8. გამჭირვალობა [ESG 1.8]

პროგრამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია, როგორიცაა მიღების მოთხოვნები და პროცედურები, კურსის კატალოგი, გამოცდა და შეფასების პროცედურები და სხვა, უნდა დაარქივდეს და გამოქვეყნდეს ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მობილობით მიღებული სტუდენტების საჭიროებები.

9. ხარისხის უზრუნველყოფა [ESG 1.1 & part 1]

მონაწილე ინსტიტუციებმა უნდა გამოიყენონ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესები ESG-ის პირველი ნაწილის მიხედვით.

გ. უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ერთობლივი პროგრამების ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურა

მონაწილე ინსტიტუციებმა ერთობლივად უნდა შეარჩიონ EQAR-ში რეგისტრირებული ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო. სააგენტო უნდა თანამშრომლობდეს იმ ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან, სადაც მონაწილე ინსტიტუციები მდებარეობს ან სადაც, მონაწილე ინსტიტუციებია განთავსებული.

1. თვითშეფასების ანგარიში [ESG 2.3]

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურა დაფუძნებული უნდა იყოს მონაწილე ინსტიტუციების მიერ ერთობლივად წარდგენილ თვითშეფასების ანგარიშზე (SER). თვითშეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას და ასახავდეს პროგრამის შესაბამისობას უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში EHEA ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან (ნაწილი ბ).

ამასთან, ანგარიში უნდა შეიცავდეს მონაწილე ინსტიტუციების შესაბამისი ეროვნული ჩარჩოს შესახებ საჭირო ინფორმაციას, რაც უცხოურ სააგენტოებს და ექსპერტებს შეიძლება დასჭირდეთ კონტექსტის გასააზრებლად, განსაკუთრეით ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემაში პროგრამისათვის ადგილის განსაზღვრისას.

თვითშეფასების ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთობლივი პროგრამის განმასხვავებელ მახასიათებლებზე, როგორც ერთობლივი

ძალისხმევა უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემებს მიეკუთვნება.

2. ექსპერტთა ჯგუფი [ESG 2.3 & 2.4]

სააგენტომ უნდა გამოყოს სულ მცირე ოთხწევრიანი ჯგუფი, რომელსაც ექნება დარგობრივი (საგნები და დისციპლინები), შესაბამისი მიმართულების შრომის ბაზარის კვლევის და უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტული გამოცდილება.

საერთაშორისო გამოცდილების მეშვეობით ჯგუფს უნდა შეეძლოს ერთობლივი განმასხვავებელი მახასიათებლების გათვალისწინება. ჯგუფს უნდა ჰქონდეს ცოდნა, ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუციების, საგანმანათლებლო სისტემებისა და სწავლების ენების შესახებ. ჯგუფში მინიმუმ ორი იმ ქვეყნის წარმომადგენელი უნდა იყოს, სადაც პროგრამა ხორციელდება. ჯგუფში ასევე უნდა შედიოდეს მინიმუმ ერთი სტუდენტი.

სააგენტომ უნდა შეძლოს ექსპერტებისა და დამკვირვებლების მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუციებში. ბოლოს, ინსტიტუციას უფლება უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი აცილება მისცეს ჯგუფის წევრს, თუმცა არ უნდა ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება.

სააგენტომ ექსპერტებს უნდა მიაწოდოს ინსრუქტაჟი აქტივობების, მათი როლის და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედუებრის სპეციფიკის შესახებ. ინსტრუქტაჟში უშუალოდ უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება ერთობლივი პროგრამების განმასხვავებელ მახასიათლებლებზე.

3. ვიზიტი [ESG 2.3]

ვიზიტმა საშუალება უნდა მისცეს ჯგუფს თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით განიხილოს ერთობლივი პროგრამები და შეაფასოს პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან. (ნაწილი ბ).

ვიზიტი უნდა მოიცავდეს დისკუსიებს მონაწილე უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან, კერძოდ ინსტიტუციებისა და პროგრამის ადმინისტრაციასთან, დასაქმებულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა კურსდამთავრებულები და პროფესიული სფეროს წამომადგენლებთან.

მიუხდავად იმისა, რომ ვიზიტი ჩვეულებრივ უნდა განხორციელდეს შეზღუდულადა ერთ ლოკაციაზე, ყველა სხვა დანარჩენი ლოკაციაც უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

4. დასკვნა [ESG 2.3 & 2.6]

ექსპერტთა ჯგუფმა უნდა მოამზადოს დასკვნა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება შესაბამისი მტკიცებულებები, ანალიზი და დასკვნები სტანდარტებთან მიმართებაში (ნაწილი ბ). დასკვნაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს რეკომენდაციები პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. იმ შემთხვევაში თუ დაკვნას მოჰყვება სამართლებრივი შედეგები, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო რეკომენდაციები.

დასკვნებსა და რეკომენდაციებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთობლივი პროგრამის განმასხვავებელ მახასიათებლებზე.

ინსტიტუციებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გააკეთონ კომენტარი დასკვნის პროექტზე და მოითხოვონ ფაქტობრივი შეცდომების შესწორება ან გამოსწორება.

5. ფორმალური შედეგები და გადაწყვეტილება [ESG 2.5]

საჭიროების შემთხვევაში სააგენტომ გადაწყვეტილება დასკვნასა და დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით უნდა მიიღოს, ასევე უნდა გაითვალისიწინოს უმაღლესი საგანამანათლებლო ინსტიტუციების შენიშვნები. იმ შემთხვევაში თუკი დასკვნას მოჰყვება გადაწყვეტილება აკრედიტაციის შესახებ, ის სრულდება აკრედიტაციის მინიჭებით ან უარით შესაბამის სტანდარტებზე დაყრდნობით (ნაწილი ბ). სააგენტომ შესაძლოა სამართლებრივი შედეგი და აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება გაამყაროს შესაბამისი რეკომენდაციებით.

სააგენტომ უნდა დაასაბუთოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. ეს განსაკუთრებით შეეხება პირობით ან უარყოფით გადაწყვეტილებებს და იმ შემთხვევებს, როდესაც გადაწყვეტილება განსხვავდება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად გაწეული რეკომენდაციებისგან.

6. გასაჩივრება [ESG 2.7]

ინსტიტუციებს უნდა ჰქონდეთ უფლება გაასაჩივრონ სამართლებრივი შედეგი ან აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, სააგენტოს უნდა ჰქონდეს ფორმალიზებული სააპელაციო პროცედურა.

7. გასაჯაროება [ESG 2.6]

სააგენტომ უნდა გამოაქვეყნოს დასკვნა და, თუ საჭიროა, სამართლებრივი შედეგები ან აკრედიაციის გადაწყვეტილება საკუთარ ვებგვერდზე. თუ დასკვნა არ არის შედგენილი ინგლისურ ენაზე, სულ მცირე დასკვნის რეზიუმე და გადაწყვეტილება შესაბამისი მიზეზების მითითებით, უნდა იყოს წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე.

8. შემდგომი ნაბიჯები [ESG 2.3]

სააგენტო უნდა შეთანხმდეს მონაწილე ინსტიტუციებთან თანმდევი პროცედურების შესახებ, პირობების დაკმაყოფილების მიზნით - არსებობის შემთხვევაში - და/ან შეაფასოს რეკომენდაციების შესრულებისათვის საჭირო შემდგომი ქმედებები.

9. პერიოდულობა [ESG 1.10]

ერთობლივი პროგრამის გადახედავა უნდა მოხდეს პერიოდულად ყოველ ექვს წელიწადში, რაც მითითებული უნდა იყოს გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში. აკრედიტაციის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამას აკრედიტაცია ენიჭება 6 წლის ვადით[5]. 6 წლის განმავლობაში სააგენტო ინფორმირებული უნდა იყოს ერთობლიბვი პროგრამის განმახორციელებელ კონსორციუმში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

[5] EHEA-ს ქვეყნები 6 წლიან პერიოდს იყენებენ.